განცხადება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი **ტექინფორმი** აცხადებს ღია კონკურსს **ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის** ვაკანტური ადგილის (1 საშტატო ერთეული) დასაკავებლად.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის დარგის სპეციალისტებს, რომელთაც გააჩნიათ დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. ასევე კონკურსანტს უნდა გააჩნდეს აღნიშნულ სფეროში მუშაობის 5 წლის სტაჟი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
- დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც ეხება ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და სინთეზის მეთოდურ-პრაქტიკულ საკითხებს და განმცხადებლის აზრით წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
- შესაბამისი დარგის 1 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიოს განმცხადებელს (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი);

საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექინფორმში, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 2015 წლის 18 მარტიდან 18 აპრილის 16.00 საათამდე.

მისამართი: 0179, თბილისი, კოსტავას ქ. 47, მე-6 სართული, ოთახი 18.
კონკურსში მონაწილეობისათვის სასურველია საბუთები წარმოდგენილი იყოს აგრეთვე ელექტრონული ფორმით. საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული დისკით, ან გაიგზავნოს მისამართზე: tech@caucasus.net.
დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

ტელ: 2 335122, 2 335315, 2 335288.
პასუხისმგებელი პირი - მეგი თათარაშვილი